

939/2

# თქტომბრული

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



1939

№9

# ოქტომბრული

№ 9  
სექტემბერი  
1939 წ.



გამომცემლობა „კომუნისტი“

რედქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., №34  
ტელ. № 3-02-61

საბ. ა. ლ. ქ. ქ. ცმპას და საბ. ბანსახკომის ერთობიური ორბანო

## შეღწეული შინაარსი

	გვ.
1. ალიო მაზაშვილი, — სკოლისაგან (ლექსი) . . . . .	1
2. ანა ზახუტაშვილი (ცეციტი), — შიშარა ქეთინო (მოთხრობა) . . . . .	2
3. სანდრო უდინტი, — ქარხნის მილი (ლექსი) . . . . .	3
4. დავით შამათაშვილი, — ჯიუტი (ზღაპარი, დასასრული) . . . . .	4
5. სიო ზინდისთავალი, — სიხარულის სიმღერა (ლექსი) . . . . .	6
6. თურქმან შანშიაშვილი, — ჩაბევი (ნარკვევი) . . . . .	7
7. ია ჩხაიძე, — მეზი (მოთხრობა) . . . . .	8
8. ალიკო შანგიანი, — ქალბატონის გადარჩენა (ლექსი) . . . . .	10
9. ძმობიანი ვლასაშვილი, — ნენე დიკარვა (მოთხრობა) . . . . .	11
10. მარკა მიქელაძე, — მამოშვიდი (ლექსი) . . . . .	14
11. ლავრა შინიანი, — „დავით სასუნელი“ (წერილი) . . . . .	15
12. მარკა ბარათაშვილი, — მესაზღვრე გოგი (პოემა) . . . . .	16
13. ჯეზო თაბუკაშვილი, — შემოდგომა (ლექსი) . . . . .	გარეკანის მე-4
14. ბურაბე ასათიანი, — ვსწავლობთ დაუზარელი . . . . .	მე-4
15. პასუხი მერვე ნომერში მოთავსებულ განცხადებებზე . . . . .	მე-4

ქრნალის ვაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ი. ძმობიანს.  
გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის თბილისის სამხატვრო  
ტექნიკუმის მე-II კურს. მოწაფის ლეილა თაბუკაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი: **ლ. შინიანი**      პასუხისმგებელი მდივანი: **თ. შანშიაშვილი**

გადაეცა წარმოებას 23/VIII 39 წ.      ქალაქის ზომა 60x92  
ხელმოწერილია დასაბუთდალ 26/IX 39 წ.      ჟორმითა რაოდენობა 20-გვ. 9 1/2 x 14

# სკოლისაკენ

ვლადიმერ ჰემს შვილს ბორისს


ვდივებით მთის კუნძულებს  
ნიშნად მზის ამბორისი,  
სკოლისაკენ მიცურცვულებს  
თვალციმციმა ბორისი.

ორი თუბა დაისვენა  
აგარაკად „დაბაში“,  
გაბრბინა, გაისვენა  
ბურთაობა, თამაში.

3545.

რამდენი ტყე გადალახა,  
წუაროები ანკარა,  
სად არ იყო, სად არ ნახა  
ჩიტ ბოლოქანქარა.

დღეს სკოლაში მიდის ანცი,  
სწავლის დროა ეველგანა,  
გაიხარდოს დიდი კაცი,  
გაახაროს ქვეყანა.



ჰა, სკოლაში შევადგება,  
თქვა: „პირველიც ვიქნე!“  
შეაფრინა შევარდნეად  
ფრთებგამღილი წიგნები.

კვლავ ისწავლოს, წაიკითხოს  
საუფარელი მკონხები,  
კვლავ შეჯიბრში გაიწვიოს  
მისებრ ფრიადოსხები.



# მეშინა ქეთინო

ქეთინომ დედოფალებს სარეცხი და-  
ურეცხა, სკამსა და სკამს შუა შავი კოქის  
ძაფი თოკად გააბა და გაფინა. ქეთინოს  
უხარია, რომ ამდენი საქმე გააკეთა და  
ახლა უნდა დაისვენოს. დედა სახლში  
არა ჰყავს, შინ მარტო ბებერი პაპა და  
ქეთინოა. პაპა ჩვეულებრივად ტახტზე  
წევს და უძლოურობით სულ თვლებს.

ქეთომ მწოლიარე პაპა რომ დაინახა,  
იმ წამსვე მისკენ გაქანდა.

— სძინავს... — დაიჩურჩულა ქეთინომ.  
ფეხის წვერებზე შედგა, მძინარე რომ არ  
გაეღვიძებინა.

— სუ მეთქი, არ გესმით, ბავშვს ძლივს  
ჩაეძინა, სუ, სუ... — ქეთინომ ტუჩები წინ  
კობტად წამოიშვირა და გვერდგვერდ  
იკტირება, ვილაცას აჩუმებს, კრინტი  
არ დასძრავს.

პაპას თეთრი, გრძელი წვერი დაჩეჩი-  
ლი მატყლივით ეფარა გულზე. ქეთინომ  
წინსაფარი მოიხსნა, მოხუცს მიეპარა და  
სახეზე ფრთხილად დააფარა.

— დაიძინე, შვილო, დაიძინე, მე ხვალ  
კაკებს გიყიდი, — ჩურჩულებს გოგონა და  
მისი სუნთქვა პაპას გულში ჩაჰქრის, პა-  
ტარა ხელების ცაცუნო ძლიერ ესი-  
ამოვნება, მაგრამ ხმას არ იღებს: ეშინია  
ბავშვს ოცნება არ დაურღვიოს. ბავშვი



წვალობს: მისი ერთი მტკაველი წინსა-  
ფარი გრძელ წვერს და მელოტ თავს  
რომ ვერა სწვდება, ქეთინო წინსაფარს  
ხან ზევით ასწევს, ხან ქვემოთ ჩამოსწევს,  
უსათუოდ სურს წვერებიც დაუფაროს,  
რომ წვერებსაც არ შესცივდეს. ამ აწვევ-ჩა-  
მოწვევაში პაპას წვერები მთლად აეჩინა,  
თანაც იმ სიციხეში მოხუცს სული უგუბ-  
დება, მაგრამ რა ქნას?! განაბულია, თავი  
მოიძმინარა და ხმას არ იღებს. საუბე-  
ღუროდ, ქეთინომ ახლა ისიც შენიშნა,  
რომ პაპა ტიტველა ფეხებით იწვა.

— უი, დამიღვა თვალები! — დედის კი-  
ლოთი წილაპარაკა ბავშვმა. — ფეხებიც  
ტიტველა ჰქონია, ხომ შესცივდა... ახ-  
ლავე, ახლავე, — და გოგონა კარადისაკენ  
გატრიალდა, იქიდან დედის ზამთრის  
წამოსასხამი გადმოითრია და ფეხების  
ფუთვნა დაუწყო. პაპას სცხელა, წინდე-  
ბიც იმიტომ გაიხადა, რომ სიციხისაგან  
ფეხები ეწოდა. პაპამ ამ გაჭირვების  
დროს ერთ ხერხს მიმართა; სანამ გო-  
გონა ფეხებს შეუფუთინდა, პაპამ ისარ-  
გებლა, ცხვირპირიდან წინსაფარი ზე-  
ვით აიწია და თავისუფლად ამოისუნთქა.

გოგონამ პაპას მოძრაობას თვალის შე-  
ასწრო და გაჯავრდა.

— ხომ შეგცივდა, შვილო, ავად გა-  
ხდები და ექიმი მწარე წამალს დაგაღე-  
ვინებს, დაიფარე მეთქი!

მოხუცს მოთმინება ეკარგება. ქეთინო  
რომ პირზე დააფარებს, პაპა წამოსასხმი-  
დან ჩუმად ფეხებს გამოყოფს, ბავშვი  
რომ ფეხებს შეუფუთინის, პაპა წინსაფარს  
იშორებს.

— რა ვქნა, შენ არ გესმის? გეუბნები,  
ავად გახდები მეთქი, გადახდა არ შე-  
იძლება, არა! — უჯავრდება თავის ჯიუტ

„შვილს“ ქეთინო. რაკი პაპამ თავისი არ დაიშალა, გოგონა ახლა კი დამეუქრა:  
 — აბა მაშ ჯერ ბუას დავუძახო, შეგ-  
 კამოს! აგერ მოვიდა... ბუა მოვიდა...  
 — ბუუუ... პაპა უნდა შე...ეჭა...მოო...  
 ბუუ...  
 გაიბოხა ხმა გოგონამ და კედელთან მიდგა, გაშალა ხელი, პატარა თითების ჩრდილის მოძრაობა რომ დაინახა, ტიტინს უმატა:  
 — ბუუუ, მოდი, ბუა, მოდი, ეს ცელქი შეჭამე... ბუუუ... — ქეთინომ თითები კიდევ განძრია და უცებ შექრთა: ჩრდილი მგლის წაწვეტილი ცხვირივით გამოჩნდა, თითქოს პირიც დააღო, და წახლა ქეთინო.  
 ბავშვი სწრაფად მოშორდა და მოხუც-  
 თან აიბუზა.

— პაპა, შენთან მინდა... გაიღვიძე, პა-  
 პა, მეშინია...  
 ქეთინო ტახტზე აცოცდა და პაპას გულზე მაგრად მიეხუტა. პაპას გაეცინა.  
 — აი შე კუდრაქა, მე ხომ შენი შვილი ვარ და რატომ მე არ მეშინია? არა გრცხვენია, ჩრდილისა რომ შეგეშინდა? აბა შეხედე, შეხედე, ჩრდილი როგორ ავათამაშო.  
 მაგრამ ქეთინო აღარ იხედებო. თამაში და მარტოობა მოსწყინდა და ცოტა ხნის შემდეგ პაპას გულზე ტკბილად ჩაეძინა. მას წინსაფარს ახლა პაპა მზრუნველობით აფარებდა და ჩუმად ჩიფჩიფებდა: — ჩემი მშინშარა, პატარა სულელი გოგო.



სანდრო ქაჩხვი



აიენიდან ახლოს მოჩანს და აკვირვებს ძალზე ლილის, სივრცეში რომ ატყორცნილა ეს ვეება ქარხნის მილი.  
 კობტა და ლილი ცისკენ მოწიწებით უცქერს ახლაც: ფიქრობს, როგორ გააკეთეს ასე სწორი, ასე მაღლა!  
 თუმცა ნიკომ უთხრა გუშინ: — რას არ შეძლებს კაცის ხელი, ჭობები ამოვაშრეთ, ავაყვავეთ მწირი ველი.  
 ყველა როგორ ჩამოვთვალო, დამიჯერე, ჩემო ლილი,

რად გაოცებს აგრე მაინც ეგ უბრალო ქარხნის მილი!  
 — უბრალოა? არა, ძმაო, მოიცა და შემდეგ ნახე, როცა დიდი გავიზრდები, კალატოზი უნდა გავხდე.  
 რა გაცინებს, რას მიცქერი, გასაკვირი აქ რა არი, განა ქალი არ გინახავს ხარაჩოზე გადმომდგარი?  
 იპ, მეხიცი კი დაგაყარე, რას როხროხობ, ან რად ყვირი, ნახავ, ლილი, კალატოზმა, რომ აავოს ქარხნის მილი.



# ჯეშტი

დასასრული<sup>1</sup>

ბოლოს ქათმების წუწკა ისევ განაგრძობ:

— ახლა ვინაა ჩემი პატრონი, ჩემო ბეკეკუნა! უნამუსო დათუნია ცი ისევ გათავხედდა, რომ ჩემი ქმრის ვალების გასტუმრებასაც არ ფიქრობს. ხომ იცი, საწყალი ბიძაშენი დიდი, განთქმული დოსტაქარი იყო ტყეში. საიდან არ მოდიოდნენ ავადმყოფნი, ყველას შევლოდა ის ბეჩაფი...ჰო და იმას ვამბობდი... დათუნიას ცოლი ბურდღუნა უკანასკნელ დღეში იყო, ფუტკრებს დაეკბინათ, ხომ იცი დათვების ამბავი, რა წუწკები არიან თავლზე, —მერე და სულ ერთიანად დასივდა, ვინ არ მოიყვანეს, მაგრამ არაფერი არ ეშველა; ბოლოს მოიწვიეს ბიძაშენი, გამოუგზავნეს სასწრაფო ეტლი და წავიდა.

სულ ორ დღეში განკურნა იმ ხელკურთხეულმა ავადმყოფი. მაგრამ ახლა ვალს არ იხდის უბატრონო ხარო. შეილი მე არ გამაჩნია და ძირი...დამიჯანბნა...ამიტომ, ჩემო ბეკეკუნა, ერთობ გამახარე. დედაშენი ბედნიერი ქალია, მას რა უჭირს, სამი ვაჟი ჰყავს...მოდით, შენ ჩემი შვილობილი გახდი, ბიძაშენს იმდენი ქონება კი დარჩა, რომ შენს გაზრდამდის თავი ვირჩინოთ, მერე რა მიჭირს, ვაჟაკი ამომიღებები გვერდში!

დაამთავრა მელიკომ და აღერსიანად გადაუსვა ხელი ბეკეკუნას თავზე.

— წამო, შვილო, დედა გენაცვალოს, რას უტდი, წავიდეთ შენ, დაისვენებ, ნამგზავრი ხარ, —თქვა მელიკომ და გაუძღვა წინ.

მელიკო ერთობ გამხიარულდა. წიფლნარში რომ შედიოდნენ, უცებ ვილაცამ ჩინჩხვარი გადმოაყარა მათ თავზე.

ბეკეკუნა შეკრთა, წიფელზე ციყვი შესკუპებულიყო და ცულლუტობდა.

შვილობილ-დედობილი თავახიანად მივსალმნენ ციყვებისა.

— საით გაგიწვიათ? — იკითხა ბოლოს ციყვმა.

— შენ, დავილაღეთ! — მოკლედ მოუჭრა მეღამა.

— შენ რას მისდევ მაგას, ბეკეკუნა? რა შენი ტოლია მელიკო, შენ დაბრუნდი ჩქარა! — ჩამოსძახა ციყვმა და თავისი საქმე განაგრძობ.

— ეს ჩემი საქმეა... შენ არავინ გკითხავს, — მკვახედ მიუგო ბეკეკამ.

— დაგლუპავს ბიძია, დაგლუპავს და მერე გვიან იქნება, მაგისთანა ცბიერი ერთიც არ მოიძებნება ტყეში, გირჩევ შენ დაბრუნდე, — ურჩია ციყვნიამ. მაგრამ ბეკეკუნამ როდი ათხოვა ყური. მელიკო საშინელი გაჯავრებული იყო და სულ იწყევლებოდა.

— მები კი დავათხლიშე თავზე მაგ საზიზლარ ციყვნიას! თითქოს ბიძაშვილია, ნამდვილად კი ჩემი მტერია: ხელავ, რა მოკორა ჩემზე მაგ საზიზლარმა...არ ათხოვო, შვილო, ყური, შურიანია ეგ გაიძვირა!



<sup>1</sup> დასაწყისი იხ. ნომ. „ოქტ.“ № 8.

ბოლოს, ერთ უდაბურ ადგილას, ფულუროიან წიფლის ქვეშ შეჩერდა მელიკო.

— აი ჩემი ბინა! — თქვა მან.

ირგლივ მხოლოდ ქათმის ბურტყლი იყარა. სოროს შესასვლელთან წვრილი ძვლებიც შეამჩნია ბექეკუნამ.

— დაწევი აქ, მე საწერ-კალამს მოგიტან და პირობა ჩავწეროთ, მხოლოდ ყველაფერში ალაღ-მართალი უნდა გამოდგე, თორემ... — თქვა რაღაც გამოცვლილი ხმით მელამ და სოროში შეძვრა. ახლა კი შიშმა აიტანა ბექეკუნა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ დროს მელაც გამოძვრა სოროდან.

— მაშ ასე, დავიწყეთ, არა? — თქვა მელიკომ, იქვე ჩამოჯდა წიფლის ფესვზე, ქალღიღამა ღალა, ბატის ფრთა მოიშარჯვა და ბექეკუნას ჰკითხა: — შენი სახელი, მამის სახელი და გვარი?

— ბექეკუნა ბექეკოს-ძე კიკინაიშვილი, — მიუგო ხმის კანკალით მან.

— კარგი. ახლა ესეც მიპასუხე...

არ დაამთავრა მელამ და წარბები შეიკრა. ბექეკუნა შიშით სულ აკანკალდა და რაღაც გაუგებარ კიკინს მოჰყვა.

— მაშ მიპასუხე: — წყაროს წყალში ყოველდღე შენი ბინჭური ჩლიქებით რომ ჩაიხარ, ხომ შეიძლება ავადმყოფობა შეიტანო შიგ და მე დავიღუპო, მეც ხომ ვსვამ იმ წყალს?

ბექეკუნამ დიდხანს ვერ ამოიღო ხმა, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ საცოდავად ჩაიკიკინა:

— მაპატიეთ, ქალბატონო მელიკო!

— არავითარი პატიება! — თქვა მრისხანედ მელამ და ქლიკში სწვდა მას. ბექეკუნამ საწყალბებელი ხმით დაიკიკინა და იმედდაკარგული დაეცა მიწაზე.

\* \*

დაბრუნდა თემური შინ. ბექეკუნა რომ ვერ ნახა, ბომბორას დაუძახა და ჰკითხა ბექეკუნა რა იქნაო. ბომბორამ არაფერი არ იცოდა და ძლიერ შეწუხდა.

ამ დროს კიკინაც გამოჩნდა და მოუთმენლად ჩაუკიკინა თემურს ბექეკუნას გაპარვის ამბავი.



ძლიერ დააღონა ამ ამბავმა თემური: საწყალ ბექეკუნას მგელი გაგლეჯდაო, გაიფიქრა გულში, მაგრამ იმედი არ დაკარგა, ბომბორა გაიყოლა და ტყისაკენ გაუყვა გზას.

სოფლის ბოლოს თავუნია შეხვდათ, წრიბინამ ყველაფერი უამბო მათ ბექეკუნას შესახებ და ტყისაკენ მისაწავლა გზა.

წყაროსთან ყოყინამ გადაუჭრა მათ გზა. თემურმა და ბომბორამ მასაც ბექეკუნას გზა-კვალი გამოჰკითხეს. ყოყინა ერთობ გაჯავრებული იყო ბექეკუნას უზრდელი საქციელის გამო, მაგრამ მაინც მისცა მგზავრებს ცნობა ბექეკუნას შესახებ და თან დასძინა:

— ტყის შესავალში რომ ბუჩქებია, იქ კურდღლის ყურცქვიტა წყაპუნამის ქობია, მასთან უთუოდ გაივლიდა ის სულელი ბექეკაო.

ყოყინას მადლობა უთხრეს და გასწიეს წინ. ტყეში სიჩუმე იყო.

კურდღლის ქობს რომ მიუახლოვდნენ, თემურმა დაიძახა „მაინძელოო“ და იმ წუთსვე გამოჰკრა ბუჩქიდან ყურცქვიტა. თემურმა ყურცქვიტას ბექეკუნას ამბავი გამოჰკითხა.

ყურცქვიტამ ყველაფერი უამბო მათ, მაგრამ ბოლოს რა შეემთხვა ბექეკუნას, ეს კი არ იცოდა. დაღონდნენ თემური და ბომბორა. ბოლოს სიჩუმე ისევ ყურცქვიტამ დაარღვია:

— იცი, მშობილო, ახლა მე ქორწილში მივდივარ, ჩემი ბიძაშვილი, ნაცარა, ცოლს ირთავს, დიდი საზოგადოებაა

დაპატივებული მუხნარეთსა და წიფლნარეთიდან, ასე რომ, თუ წამობრძანდები, იქ უთუოდ გამოჩნდება ვინმე მისი მნახველი.

თემურს ეს აზრი მოეწონა, მაგრამ დაგვიანება საქმეს ავნებდა. ყურცკვიტა ისევ დაფიქრდა და უცებ სიხარულით წამოიძახა:

— მოდი, ჩემს მამიდაშვილს ციყუ-ნია ხტუნაძეს გამოუძახებ, დაკვირვებული გოგოა, ეგებ მან იცოდეს რამე ბეკეკუნას შესახებ.

ყურღელმა იქვე სოკოს ქვეშ მიიბრინა, ტელეფონის ყუთში თეთრი ფული ჩაყარა და დარეკა:

— ალო, ალო, ვინ არის? ციყუნია? გამარჯობა, ქალო, შენი! ქორწილში მოდიხარ? ძალიან კარგი! ჰო, იცი რა გითხრა, დღეს ჩემთან ბეკეკუნამ გამოიარა, დაუჩემებია ტყე უნდა დავათვალიეროო, შენ ხომ არ შეგხვედრია მერე? მისი პატრონი დაეძებს და შეწუხებულა...ა, როგორ? მელიას მიჰყვებოდა? საით? წიფლნარეთისკენ? რა მინდაო? მელიკო ჩემი დედობილიაო? აი მართლა სულე-

ლი! მაშ დროებით, ჩემო ციყუნია! ნახვამდის!

ყურცკვიტამ მილი ჩამოკრძალი და მადლობა გადაუხადეს ყურცკვიტას და გზას გაუდგინა. თემური ძლიერ შეშფოთებული იყო: მელიკო მგელზე არა ნაკლებ სისხლისმსმელად მიაჩნდა, დროს თუ იხელთებდა, ის არამზადა წუთში მოგუდავდა ბეკეკუნას.

ბევრი იარეს თემურმა და ბომბორამ და ბოლოს წიფლნარში გავიდნენ. უცებ საწყალობელი კიკინი მოესმათ. ბომბორამ ყურები ცკვიტა, წამოიჭიმა და შურდულივით მოწყდა ადგილიდან.

მინდორზე დაინახეს ბეკეკუნა და მელიკო, რომლებიც ერთმანეთს ეძიებოდადგინებოდნენ. ბომბორას დანახვაზე მელამ თავი მიანება დაოსებულ თიკანს და რაც ძალა ჰქონდა მოუსვა, მაგრამ ბომბორა წამოეწია, სწვდა კისერში გაიძვერას და იქვე მოგუდა.

ბეჩავი ბეკეკუნა ძლივს მოასულიერეს და მხიარულნი დაბრუნდნენ შინ.

თემურის მამამ წუწკ მელიკოს ტყავი გააძრო და მეორე დღეს ქალაქში წაიღო გასაყიდად.

## სიო ხიხისთავი

# სიხარულის სიძულდა

ჩენს სამშობლო ქვეყანაში  
ლაღად სუნთქავს ყოველი,  
ჩქეფს სიცოცხლის ნაკადული,  
წარმტაც ყოფის მქსოველი...

ახალგაზრდა შვილები ვართ  
ახალგაზრდა ქვეყნისა,  
სიხარულის სიმებია,  
გულს რომ შემოეთვისა.

აღმადრენის სურვილები  
გულში უხვად ჩნდებიან,

დიდ სამშობლოს მხნე შვილები  
როს გამირებად ხდებიან...

ჩვენ ვინ მოგვცა ეს ცხოვრება  
ბედნიერი ხმებითა,  
ვინ გაათბო ჩვენი გული  
ცეცხლოვანი გზნებითა?

ჩვენმა დიდმა მოამაგემ,  
ჩვენმა მამამ — სტალინმა,  
ჩვენი ნორჩი გულების  
დროშად გამოტანილმა.



# ჩაპაუკი



1919 წლის 5 სექტემბერს ქალაქ ლიბეშჩენსკში დაიღუპა სამოქალაქო ომის გმირი, დივიზიის ლეგენდარული მეთაური, ვასილი ივანეს-ძე ჩაპაუკი.

მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო. მისი სახელი ჩაუქრობელ ლამპრად აენთო ჩვენი ქვეყნის უთვალავ პატრიოტთა გულში და მისი საქმე მისაბამავალითად გადაიქცა.

ზღაპრული თავგადასავალი აქვს ვასილ ივანეს-ძეს. მრავალი ბრძოლა გადაუხდია მას ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დაცვისათვის.

1919 წლის მარტში თეთრგვარდიელ გენერალ კოლჩაკის ბანდები ურალიდან ვოლგისაკენ მიიწევდნენ. დროებითი გამარჯვებით გახარებული თეთრგვარდიელები ზეიმობდნენ. კაპიტალისტური ქვეყნების გაზეთები სიხარულით წერდნენ კოლჩაკის წარმატებებზე და წინასწარმეტყველებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაცემას.

მდგომარეობა სერიოზული იყო. ახალგაზრდა წითელი არმიის ნაწილები სასწრაფოდ გაიგზავნა კოლჩაკის წინააღმდეგ. გაიგზავნა აგრეთვე მე-25 მსროლელი დივიზია, რომელსაც მეთაურობდა ჩაპაუკი.

ღიღი ბრძოლები მიმდინარეობდა მარტიდან ივნისის დამდეგამდის. წითელმა არმიამ კოლჩაკელებს საგრძნობლად დაახვეინა უკან. თეთრგვარდიელები ქუფის მიდამოებში გამაგრდნენ და იერიშზე მიმავალი წითელი არმიის შეწერება მოიწოდინეს მდინარე ბელაიას გაღმა ნაპირზე კოლჩაკელებმა ტყვიამფრქვევები და

ზარბაზნები დადგეს, ყველა ხიდი ააფეთქეს და მდინარეზე გადასვლის ყოველგვარი შესაძლებლობა მოსპეს.

მდგომარეობა კრიტიკული იყო. აღმოსავლეთის ფრონტის მეთაურმა ამხ. ფრუნზემ ჩაპაუკს და მის დივიზიას დაავალა მდინარეზე გადასვლა. ჩაპაუკის დივიზია ხომ ცნობილი იყო მოხერხებულობითა და გამომგონებლობით. გაქირავების დროს გაუჩენელს გააჩენდნენ და ბრძანებას მაინც შესასრულებდნენ.

ჩაპაუკმა გადაწყვიტა მდინარეზე ღამით გადასულიყვნენ. შუალამისას ჩაპაუკელებმა საიდნაღაც ორი ნაღვი მოიტანეს. მთელი ღამე მუშაობდნენ და გათენებისას ივანოვო-ვოზნესენსკელების პოლკი უკვე იქითა ნაპირზე იყო. ეს პოლკი საუკეთესოდ ითვლებოდა ჩაპაუკის დივიზიაში. თეთრებმა ვერ შეამჩნიეს ჩაპაუკელთა მოძრაობა. ისინი დამეფდებით ისხდნენ ღრმა სანგრებში და მდინარის ღრმა კალაპოტი და ჩქარი დინების წყალი გადაულახავი სიმაგრე ეგონათ.

გათენებისას მდინარეზე ნისლი ჩამოწვა.

კანტიკუნტად დაიწყო სროლა, შემდეგ კი გაძლიერდა და მიდამო აზანზარდა. თეთრგვარდიელები არ ელოდნენ ბრძოლის დაწყებას. მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნისლის საფარქვეშ მიახლოებული ივანოვო-ვოზნესენსკელები თავზე წაადგნენ. თავგზაბნეულმა კოლჩაკელებმა, ვერაფერი მოახერხეს, სწრაფად ამოცვივდნენ სანგრებიდან და გაიქცნენ. თოფის სროლითა და

„ვაშას“ ძახილით მისდევდნენ ჩაპაეველები, მაგრამ მაშველი ძალი მოუვიდათ კოლჩაკელებს და კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. ველარ გაუძღეს ჩაპაეველებმა და უკუიქცნეს, გამოზობდნენ მდინარისაკენ. ცოტა კიდევ—და გაცოფებული მტერი მდინარის ტალღებში ჩაყრიდა ჩაპაეველებს, მაგრამ უეცრად ამხანაგი ფრუნზე გაჩნდა. ცხენიდან ჩამოხტა და დაიძახა: „წინ, მომყევით!“ უკუტყეული მებრძოლები შეწერდნენ. ელვის სისწრაფით მოვარდა ჩაპაევი, ხმალი იშიშვლა და შესძახა: „წინ, იერიშზე.“ ყველა გაჰყვა. ძლიერმა ყიყინამ ბრძოლის წყურვილი გააღვივა.

თეთრგვარდიელებმა იფიქრეს ახალი მაშველი ძალი მოუვიდათო, იბრუნეს პიი და გაიქცნენ.

გვიან ღამით სროლა შეწყდა. ვასილ ივანეს-ძემ იცოდა, რომ მტერი არ მოისვენებდა. ამიტომ რჩეული მეტყვიამ ფეჭევეები ჩააფლა მოხერხებულ ადგილას და თვითონაც მათთან დარჩა. გათეებისას გამოჩნდა მტერი. მრავალრი-

ცხოვანი კოლონები გაბედულად მოიწვედნენ წინ. მეტყვიამ ფეჭევეებმა აღიშინებულნი მტრისაკენ მიმართეს.

— ჯერ არ გაბედოთ, ახლო მოუფიქროთ! — დაბალი, მაგრამ მტკიცე ხმით ბრძანა ჩაპაევმა. როცა მტერი მოახლოვდა, ისე რომ მათი ნაბიჯის ხმა გარკვევით ისმოდა, მაშინ ახმაურდა ჩაპაეველთა ტყვიამფრქვევები.

დაფრთხნენ თეთრგვარდიელები. ჩაპაევის ამოწვდილი ხმალი უკუტყეულ კოლჩაკელებს სისხლს ადენდა.

ცხრა ივნისს, 1919 წელს, ქალაქ უფაში პირველად ჩაპაევის დივიზია შევიდა, შემდეგ სხვა ნაწილები მიჰყვა. მოსახლეობა სიხარულით ხვდებოდა თავის მხსნელ წითელ არმიას.

ამ ბრძოლაში გამოჩენილი უმაგალითო გმირობისთვის ვასილ ივანეს-ძე ჩაპაევი წითელი დროშის ორდენით იქნა დაჯილდოებული. სამი თვის შემდეგ კი ეს ლეგენდარული მეთაური გმირულად დაიღუპა ქ. ლიბეშჩენსკში. წითელი არმია მუდამ იამაყებს ჩაპაევის სახელით.

ია ჩხაიძე

# მეზი

პატარა რომ იყო, თამაზს ძალიან უყვარდა ქუქაქუხილი, თოფის სროლას ადარებდა მკობის ხმას. ცაში ქუქა რომ ატყდებოდა, დაბლა თამაზი მოჰყვებოდა „დუსუ—დუსუს“ ძახილს, დაიწყებდა ხტუნვას და თავის ხელთოფას „ვაჟაკურად“ ხან აქვთ და ხან იქით მიმართავდა.

მაგრამ როცა მოიზარდა თამაზი, ქუქაქუხილი სხვაგვარად წარმოუდგა: თითქოს იქ, ყომრალ ღრუბლებში. ფეთიანი ხარები დაარბენინებდნენ ურმებს. მეოცნებე ბავშვი თვალს ადევნებდა ახუქუქებულ ღრუბლებს, ეგებ დავინახო რაიმე, მაგრამ ეს ცეცხლისფრთიანი ელვა უშლიდა ხელს, როგორც კი გაიკლაკნებოდა ცის კაბადონზე მისი ტეხილი, ოქროსფერი ხა-

ზები, თამაზი ხრდა თავს, იქ კი გრიალებდნენ „უხილაფი ურმები“.

ძალიან, ძალიან უყვარდა თამაზს ელვა, ქუქაქუხილი, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სამუდამოდ შეაძულა ის.

მისი ილეოდა. ფრიადონობისათვის დაჯილდოებული თამაზი მხიარულად დაბრუნდა შინ. ამ დღეს მას სადილი უნდა წაეღო მამისა და ბიძებისათვის ყანაში. შეუდგა მზადებას, სანოვაგათ სავსე პატარა გოლდოი ზურგზე მოიკიდა, თავისი თოლია გაიყოლია და სიმინდის ყანებისაკენ გასწია.

მიდიოდა თამაზი და მიიმღეროდა. მივიდა დანიშნულ ადგილზე. მამა და ბიძები კოლექტივის სიმინდს მარგლიდ-

ნენ. თამაზი მამასთან მივიდა, საქმელი მიუტანა და თვითონ ღურღუმელა ტბისაკენ გაეშურა.

ტბა ბნელი იყო, მუდმივ ხმაურა და დაუდგრომელი ბაზვისწყალი კლდის ძირში ნელ ტბად დამდგარიყო და გამაძლარ გველეშაპივით ზოზინობდა. თამაზი სწრაფად შესკუბტა კლდის ჩამონახეთქზე და ყოველი შემთხვევისათვის წამოღებული ანკისი ტბაში გადაადგლო. არც დასკირდა დიდხანს ლოდინი: უცებ თოკი რალაცამ მძლავრად დააქანა. თამაზი შეხტა, სწრაფად ამოსწია ანკისი და მოზრდილი ღორჯო ამოათრია.

ამასობაში მოშუადღევდა კიდევ: უცებ თამაზი მოულოდნელმა ქუხილმა დააფრთხო. ანკეს თავი მიანება და მალლა აიხედა გოცვა: ცა შავსა და ბანჯგვლიან ღრუბლებს ჩამოებურა. მთებში უკვე წვიმდა. ნიაიცი კი არ იძროდა მერეში. თამაზი დატრიალდა, თევზები თხმელის კაკვზე ლაყუჩებით ჩამოაცვა, თოლიას დაუძახხა და ის იყო მამისაკენ დააპირა გაქცევა, რომ კოკისპირულად დაუშვა.

— ნუ მორბინარ, — მოესმა ამ დროს მამის ხმა, — მაქ შეფაფერ, შვილო, თავი, კაკლის ქვეშ წვიმა არ დაგასველებს. თამაზმა იქით გაიხედა და დაინახა, რომ ისინი მალალი, ტანწერწეტი, კოპწია ალვის ხის ქვეშ იდგნენ. ხეზე ჩალა იყო შეზვინული.

თამაზი კაკლის ქვეშ გაჩერდა. მოდიოდა წვიმა, შრიალებდა ფოთლები, წამიწამისად ფართქალებდა ელვა და გრიალებდა მეხი. თამაზი მოუსვენრად დადიოდა ხის ქვეშ და იმის ფიქრში იყო, თუ როდის გადაიღებდა წვიმა, რომ თავისიანებთან მისულყო დაქერილი თევზებით. ამ ფიქრში რომ იყო, უცებ საშინლად იელვა, თვალის გახელაც ვედარ მოასწრო ბიჭმა, ისე დაიქუხა, თითქოს ცა ჩამოინგრაო. თამაზი ყირამალა გადაკოტრიალდა. მალე საზარელი ხმით გააბა ყმუილი. თამაზმა არ შეიმჩნია შიში და სწრაფად წამოვარდა, მიიხედ-მოიხედა და პირდაღებული დარჩა. ალვის ხე, რომლის ქვეშაც თამაზის მამა და ბიძები აფარებდნენ თავს, ცეცხლის ალში იყო გახვეული. ცეცხლი



ჩალის ზვინს ედებოდა, ძლიერდებოდა გუნდა-გუნდად ცვიოდა ძირს. ხეს მეხი დასცემოდა, შუაზე გაეხეთქა და საშინლად დავგრიხა. თამაზს თავზარი დეცა, მან შორიდანვე დაინახა ხის ქვეშ პირალმა გაშოტილი მამა და ბიძები. მალლიდან ცეცხლი ცვიოდა. მეხდაცემულებს ცეცხლის ალში დაწვა ეშუქრებოდა. თამაზი არ დაიბნა, კაკვზე წამოცმული თევზები იქვე დაადლო, დიდიკაცივით შექვივლა და ცეცხლის ალში გახვეულ ხეს მივარდა. თან თოლიაც გამოუდგა ყვფით. საბედნიეროდ, მეხის დაცემის დროს ხის ძირთან არ ყოფილიყვნენ, მაგრამ მაინც ისე იყვნენ დარეტიანებულნი, რომ ფეხზე ვეღარ დგებოდნენ. ცეცხლმოდებული ზვისი ჩამონგრევის კოტალა უკლდა. თამაზი გულად და მივარდა მამას და განზე გაათრია. თოლიაც შევლოდა ამ დროს ბიჭს. მამა რომ დაიხსნა, ახლა ბიძებს მიეშველა. ერთი მაინც საშინლად იყო, ნახშირის ფერი ედო, ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ვადახედა თამაზმა გონებადაკარგულ თავისიანებს და სერისკენ მოკურცხლა. იქ კოლმეურნეები მუშაობდნენ. ვადაადგა სერს და გააბა ყვირილი.

მოეშველნენ. უბედურების ადგილისკენ მთელი ბრიგადა დაიძრა. სწრაფად გააქანეს მეხდაცემულები მახლობელი სააუადმყოფოსაკენ. მხოლოდ ერთი ბიძა იმხვევრპლა წყეულმა მეხმა. თამაზის მამა და მეორე ბიძა ვადაარჩინენ. თამაზმა და თოლიამ ვადაარჩინეს ისინი. ამის შემდეგ შესძაგდა თამაზს ელვა, ქექაქუხილი და მეხი.

# კალმახის გადაარჩენა



წყაროს წყალმა უჩურჩულა,  
ქვებზე მოჩხრიალემ:  
— კალმახები მოვლენ ჩუმად,  
ჩუმად მოვლენ მალე...  
როგორ? წყაროს არ უყვარდა  
კალმახები განა?  
ლამაზები ვილა ჰყავდა  
კალმახებისთანა...  
მებადურის ნორჩი გულიც  
სურს რომ გაახაროს,  
თურმე, მისი სიყვარულით  
ქღურტულებდა წყარო...  
მებადურო, გადისროლე  
საკალმახე ბადე,  
ჰაუ, ჩქარა, ჩქარა, თორემ  
თევზი ასცდა ბადეს...  
გაცურავენ, მღვრიე მორევს  
მოძებნიან სადმე.  
ამდენ კალმახს სად დაიქერ,  
ან ლამაზებს ამდენს!  
წყაროს წყალმა უჩურჩულა,  
ქვებზე მოჩხრიალემ:  
— კალმახები მოვლენ ჩუმად,  
ჩუმად მოვლენ მალე...  
მებადურის ნორჩი გულიც  
სურს რომ გაახაროს,  
თურმე, მისი სიყვარულით  
ქღურტულებდა წყარო...  
ერთჯერ, ორჯერ გადისროლა  
მებადურმა ბადე,  
ერთიც ველარ მოაყოლა...  
(დადექ, წყალო, დადექ!)  
მესამეჯერ კიდევ სცადა,  
გამარჯვების მდომმა,  
და ბადიდან ამოვარდა  
ფორაჯების კრთომა.  
ჯერ ასეთი არ უნახავს,  
ლამაზია, დიდცი!  
ეგ როგორი კალმახია,

ან როგორი მშვიდი!  
წყაროს წყალმა უჩურჩულა,  
ქვებზე მოჩხრიალემ:  
— დაიცადე, და ჩუმუმად  
სხვებიც მოვლენ მალე...  
— „ნეტავ, ვერცხლის წყალი არი,  
თუ კაშკაში მზისა,  
ეს რა ელვამ ჩაიარა,  
წყალს შუქი ვინ მისცა?“ —  
თქვა ბავშვმა და გააკვირვა  
წყალმა, თევზით საესემ,  
ტყვე კი დარდმა აატირა  
და ბავშვს უთხრა ასე:  
— მომისმინე, მეგობარო,  
ერთ საცოდავ კალმახს,  
ერთი სიტყვა დაგაბარო,  
დამიმოწმოს წყალმაცი:  
ეს კაშკაში როდი არი  
და არც ელვა არი,  
ეს შვილები მოდიანო,  
ჩემზე მოტირალნი.  
აღბათ, ჩქარა არ ვიქნები,  
განწირული ვარო,  
ჩემი კარგი ქვირილებით  
ვილამ გაიხაროს!  
ეჰ, რამდენი შვილი მყავდა,  
კიდევ რამდენს ველი...  
ახლა? შავი ბედის გარდა,  
რამ დამრიოს ხელი!  
...მებადურსაც შეებრალა,  
პიონერი გახლდათ!..  
კალმახმა რომ ცრემლი ღვარა,  
ისიც წუხდა ახლა.  
აიყვანა, გადისროლა  
კალმახების გუნდში,  
მხოლოდ სურდა გეგონა,  
თევზს რა ჰქონდა გულში...  
შეფრთხილდნენ კალმახები,  
გზას გაუდგნენ ფართოს,

თავს იხრიდნენ კალმახებში:

— მაღლობელი ვართო!

ლამის არი სიხარულით  
ზეცაც გაანათონ!

მზე იცინის, თეთრი გულით

მზეც სიხარულს ათოვს.

თევზი ახლაც ატარებსო

მებაღურის ტრფობას...

გაგახაროთ, პატარებო,

ჩემმა ნაამბობმა!



სანამ თევზი წყალში ცურავს,  
აღმა-დაღმა დარბის,—  
ყველა ნატვრა ავისრულდეთ  
და აგშორდეთ დარდი.

ქათავანე პენსიონატში

# ნენე დაიკარგა

ნენე ძალიან მოუსვენარი გოგონა იყო, ამიტომაც დედამ მეტსახელად კუდრაქა დაარქვა. სოფლის გოგო-ბიჭები კი რაქსკულს ეძახდნენ. ნენეს არ მოსწონდა თავისი მეტი სახელი, მაგრამ არც ძალიან სწყინდა.

ერთხელ ნენე დილით ადრე ადგა. მაშინვე თავისი საყვარელი დედოფლები ააყენა ლოგინიდან და სათამაშო მაგიდას შემოუმწკრივა.

— ახლა რას მიირთმევთ? — ჰკითხა ნენემ დედოფლებს, — აჰა, კაკო, შენ პური. წუნია, შენ კი შაქარი. აი როგორ აიბზუა ცხვირი! მაშ რძე დალიე! — წუნია ისევ თვლებშილულული და ტურნებაწკებილი შეჭყურებდა ნენეს. — ოჰ, არც ეგ გინდა? მაშ კარგი, ახლაცე მწიფე მარწყვს მოგიბრუნებ.

ნენემ კალათს დაავლო ხელი და სახლიდან რომ ტყე მოჩანდა, იქ წავიდა.

— რა კარგია ტყე! — ფიქრობდა ნენე, როცა ტყეში მივიდა. რა მაღალი ხეებია, როგორ ბზინავენ მზის შუქზე ხის სუფთა ფოთლები! რა ჭრიაბული აქეთ ჩიტუნებს! ნეტავი თუ ესმით იმათ ერთმანეთის კიკიკი?

მოდის ნენე, მილაპარაკობს და ლამაზი ბუჩქი ნახა.

— რა წითელი ზოხილოები ასხია ამ ბუჩქს! მოდი, გავსინჯავ, რა გემოსია?

ნენემ მოწყვიტა, გასინჯა, მაგრამ ზოხილომ პირი გაუმწარა, საჩქაროდ გამოყარა და წავიდა. ცოტა გაიარა ნენემ თუ არა, ერთ მინდორში გავიდა. მოზრდილი ადგილი მაღალი ხეებით იყო შემომწკრივებული და მწვანე ჯეჯილში გაფანტულიყვანე ყვავილები: შროშანი, ყაყაჩო და გვირილა. ბიჭოს, ეს რა კარგი მინდორი ყოფილა ამ ტყეში!

რამდენი ყვავილია!

ნიავემა დაბერა, თავმოღერებული ყვავილები და ჯეჯილი ერთ მხარეს გადააწვინა, მაგრამ იმე წუთს თავები წამოყვეს და დაიწყეს თავის ქნევა, თითქოს ნენეს ანიშნებდნენ:

— მოდი, გაგორდი, არ გინდა? ყვავილებმა ბევრჯერ ქნეს ასე, ნენემ კი უთხრა მათ:

— ოჰ! ნუ მთხოვთ, თორემ ეგ გაწკეპილი ფერადი ფურცლები დაგესრისებათ.

მაგრამ ყვავილებმა ისევ ანიშნეს:

— მოდი, გაგორდი, არაფერია.

— კიდევ მთხოვთ? მაშ ჩემი ბრალი არ იყოს, თუ მოისრისათ.

ნენე დაწვა და დაიწყო კოტრიალი. თან იძახოდა: „შერი-ი-ი, აქეთ კოტრი-

აღა, იქით კოტრიალა! ნენეს ჩქარა მოსწყინდა ესეი. წამოხტა, შროშანის კონა შეკრა, კალათს ხელი დაავლო და გაიქცა.

— უჰ, რა მიყვარს ნაკადული, — დაიძხა, როცა ტყის მოჩხრიალე ნაკადული ნახა, — რა სუფთა წყალია!

ნენემ საჩქაროდ გაიხადა ჩუსტები და როცა კალათში დებდა, ერთი ჩუსტი ხელიდან გაუვარდა და წყალში ჩავარდა. წყალმა ჩუსტი აიტვიტოვა და საჩქაროდ გააქანა.

— მოიცა, მოიცა, შე ტაცია, მოერიე? სად მივაქვს? — უთხრა ნენემ ნაკადულს და ჩუსტი დაიჭრა. — აბა მე თუ მომიტაცებ? ნენე ფეხების ტყაპუნით აუყვა ნაკადულს და თან მღეროდა:

კურდღელი მოცანცალებდა,  
ფეხმოტეხილი, საწყალი,  
ღელა — ღელა,  
ოდელია — ღელა.

ნენემ მთელი დღის განმავლობაში ხან მარწყვი აგროვა, ხან ყვავილები, ხან სოკო, ხან ნაკადულის პირას თეთრი კენჭები ძებნა და სიამოვნებით გაატარა დღე.

მოსალამოვდა. ტყეს მზე აღარ დაჰყურებდა და დაბინდა. ჩიტუნებმა შეწყვიტეს გალობა. კურდღელი კურდღელს ბუჩქში მისძინებოდა, ლოკოვინსა ჩაემალა ტანი და მიმალულიყო.

ახლა კი ვახსენდა ნენეს თავისი სახლი. მოზივდა, მოსწყინდა, შესცივდა, სიბნელე ხომ ძალიან აშინებდა.

— ვაიმე, რა მეშველება? — ფიქრობდა ნენე და დაიწყო გზის ძებნა, მაგრამ უჭირს სიარული. სველი კაბის კალთები ფეხებზე ედებოდა, ყვავილებიც სათრფევი აქვს, კალათით მარწყვი, ჩიტის ორი ბუდე და ერთი პაწაწინა ჩიტის კვერცი, მერე რა ლამაზი კვერცხია — პატარა, სრიალა, ქორფლიანი. ნენე მალმალე ლოყაზე მოისვამს და ეტყვის ხოლმე კვერცხს:

— ჩემო ჩიტუნა, რომ იცოდე, როგორ მოგივლი, ალბათ, შენ არასოდეს არ იფიქრებ ჩემგან წასვლას; ალბათ, ღელა არაფერს მეტყვის, ამდენი რამე რომ მიმაქვს. ვაიმე, რა მეშველება, ვეღარაფერს ვხედავ, მეც და ჩემი ჩიტუნაც ტყეში ვრჩებით.

ნენეს თვალები ჯერ კრემლებით ავესო, მერე კი, როცა დარწმუნდა, რომ ტყეში რჩებოდა, ხელების ფათურით მოძებნა ერთი ხე, მიეკრადელიკოს მაგიერ და დაიწყო ტირილი. ტირის ნენე, ტირის და თავისი ხმის თვითონვე ეშინია. გარშემო ბნელა, არაფერი ჩანს, მაგრამ ჰგონია, თითქოს ათასი თვალი მიშტერებია ნენეს ეშინია თვალის გახელილი. თავი ჩალუნული აქვს და ცდილობს თვლები არ გაახილოს. აი, ნენე ხედავს, რომ მის თვალწინ მისივე კრემლებიდან მშვენიერი ანკარა ტბა გაჩნდა.

ხის ფოთლებმაც ლაპარაკი დაუწყეს; აი რა უთხრეს: — ნუ სტირი, გოგონა, აი კარავი, შედი და დაიძინე.



— რა კარგი კარავი ყოფილა, ვს არ შემიძნევილა, — ამბობს ნენე, — ახლა აღარ მეშინია, ამ კარავში დავიძინებ.

ნენე კარავში შევიდა და დაწოლას აპირებს. აი, ნენესთან წვრილი წინააღმდეგობით გაწყვილებილი ყვავილები შემოვიდნენ, ნენეს მოცხად თავი დაუკრეს და უთხრეს:

— შენ კარგი გოგონა ხარ, ამიტომაც უნდა გასწავლოთ, რომელი ყვავილისაგან რა წამალი კეთდება. მაშინ აი ამ მხეცებს უაქიმებ, რომლებიც შენთან მოსულან.

ნენე საჩქაროდ გამოვიდა კარავიდან და რას ხედავს: რა მხეცი გნებათ, რომ აქ არ მდგარიყო! აი, ნენესთან მოვიდა მელა, ნენეს ძვირფასი ბეწვი გაუწოდა და უთხრა:

— მიიღე ჩემგან ვასამარჯელოდ და დაბეგვილი ზურგი მომიჩინე.

— მე კბილი მტკივა, — უთხრა დათუნამ ნენეს. — ისე მტკივა, რომ საქმლის მადლა მეკარგება, მიშველე რაამ!

— როგორ არა, ყველას გიშველით, ეგ კი არა, ისეთ მალამოს გავაქეთებ, რომ გატეხილი ფეხიც გაამთელოს.

ნენე შებრუნდა კარავში. დაიწყეს ფუსფუსი ყვავილებმა: ზოგი ლესავს, ზოგი ფხენის, ზოგი ზეთს ხდის — კეთდება წამლები, ნამდვილი აფთიაქია. ამ დროს ნენესთან კუნტრუშით შემოვიდა ნუკრი. თეთრად დაწინწკლული ბეწვი უთრთის, ყურები დაკვეტილი აქვს, ღიდი ქკვიანი თვლებით შეხედა ნენეს და ჰკითხა:

— გოგონა, მითხარი, დედაჩემი არ გინახავს?

— მეც დედას ვეძებ! — დაიძახა ნენემ და ფეხე წამოხტა. გაქრა ტკბილი სიზმარი. ნენე ხისქვეშ იღვია და რაც გუშინ მოგვაროვებინა, მის გარშემო ელავა. ღიდი ხნის ნანათლი იყო, ჩიტებს ღიდი ხანია გავლიძათ და ჰიკიკებდნენ. კურდღე-



ლი ღიდიხანია ნამიან ბალახს სუსნიდა: ლოკოკინასაც წამოგვგორებინა თავისი ნიქარა ზურგზე და მიბობლავდა.

ამ დროს გაისმა ნენეს მამის ხმა:

— აუ, ნენე! ნენე!

— აუ-უ-უ! — მისცა ხმა ნენემ.

— ნენე, ნე-ნე, სადა ხარ, გოგო?


— აქა ვარ, მამი, აქა!

— ვაიმე, როგორ გამოჯავრდებიან!

ახია ჩემზე! ვინც დედის დაუკითხავად ჩემისთანა საქციელს ჩაიდენს, განა გაჯავრების ღირსი არ არის? მაგრამ ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის, გზა ვერ გავიგენი და რა ვქნა. ჰო, მაგრამ როცა მოვდიოდი, რატომ არ ვთქვი? ოხ, წუნია, ყველაფერი შენი ბრალია! მოიცა, ყველაფერს დედას მოვახსენებ. — ფიქრობდა ნენე.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ტყიდან რომ ბილიკი გამოდის, იმ ბილიკზე მამა-შვილი ჩქარა მიდილობდნენ, მამა ლაპარაკობდა, ნენე კი თავჩაღუნული მიდიოდა.





— შენ, ცუგრია, არ გრცხვენია?  
რად ხარ ასე აბეზარი?!  
არ აჩერებ წუთით ენას,  
თითქოს პირში გებას ხარი!  
ყფფ, წკმუტუნებ, დანავარდობ,  
ალარ არი შენგან შეველა,  
დაცანცარებ, როგორც მელა  
და ეღები ფხვქვეყ ყველას.  
ხან კრუხ-წიწილს დაერევი,  
ხან აუტეხ ყეფას მესრებს,  
ყველას გული გაუწყალე,  
ყველას თავი მოაბეზრე.  
აგერ წუთით მივდე თავი,  
მოვატყუო მინდა თვალი,  
შენ კი კულში მიქაჩავებ,  
თითქოს მქონდეს შენი ვალი!  
— უჰ, დაგიფრთხე ძილი აქ მე?  
დიდი საქმე, დიდი საქმე!  
შენ ხომ ისეც გძინავს მუღამ,  
ხატავერა, ძილის გულდავ!  
ინაზები, თვალეებს ნაბავ,  
მუქთახორავ და ჭრელკაბავ!  
— აბეზარო! მუქთახორა  
შენ იქნები ჩემზე აღრე,  
წუხელ დამით სამ წრუწუნას  
ნორჩი ყელი გაველადრე.  
შენ კი რალას აკეთებდი?  
ყფფდი, ყფფდი უთავებოლოდ!  
მოედები ღობე-ყორეს  
და ძილს უფრთხობ ყველას მხოლოდ!  
— მაშ შენსავით მივეპარო

ჩასუქებულ დედლის საცივს?  
მისთვის ვუყუფ, რომ ჩვენს ეზოს  
არ მოადგეს ავი კაცი!  
შენ ცეტობას ვის დასცინებ,  
შე ფისუა მეტრიჩარავ!  
შენსავ კულს რომ დანიხავ,  
დაბრუნდები როგორც ჯარა!  
— კულს რომ ვიჭერ, შენ გგონია  
არ მივიარგა ყოფაქცევა?  
თავს ტყუილად ვისულელებ  
ჩვენი მაშოს შესაქცევად!  
შენ კი ავრე? დღეის შემდეგ  
შერცხვეს, ვინც შენ გეთამაშოს!  
ეს კი ვიცი, შენზე უფრო  
მე ვუყვარვარ ციციქნა მაშოს!  
— „ჩემზე უფრო შენ უყვარხარ?  
უნამუსო ხატავერა!  
შენ უყვარხარ? ჰამ-ჰამ-ჰამ-ჰამ!  
ვერ მოგართვეს, ვერა, ვერა!“ —  
და გამწვავდა აქ კამათი,  
ფისუნია ბრაზობს, ჩხავის,  
ულრენს ცუგო გულმოსული,  
აილესა ფისომ ბრწყალი.  
მაგრამ უცებ გაჩნდა მაშო,  
— კიტა! — თქვა და დაჰკრა ტაში,  
ერთი აქეთ, ერთი იქით  
ამოიჩრა ილღიამში.  
— რახანია გექებთ, განა! —  
თქვა და ბალში გააქანა,  
შეწყდა ჩხუბი, შეწყდა დავა  
და შერიგდნენ თავისთავად!





სომხური ხალხური შემოქმედების უშესანიშნავესი ძეგლია „დავით სასუნელი“, ანუ „დავით სასუნელი“. სასუნ ის ადგილია, სადაც ზღაპრის მთავარი გმირები მოქმედებენ და ამიტომ ჰქვია მას „დავით სასუნელი“. ეს თქმულება ძალიან დიდია და მრავალი ვარიანტი აქვს. მასში გამოხატულია სომხეთში არაბების დამკვიდრება და მათ წინააღმდეგ სომეხი ხალხის გმირული ბრძოლა. „დავით სასუნელი“ ჩაქსოვილია თავისუფლებისათვის მებრძოლთა შეუპოვარი აზრები, სომეხი მშრომელი ხალხის მისწრაფება და შეუპოვარი ბრძოლა თავდამსხმელთა წინააღმდეგ. დავით სასუნელი შეუდარებელი დევამირია. მან არ იცის ბრძოლაში შიში და უკან დახევა. მისი თავგანწირული მოქმედება მიმართული იყო სომეხი ხალხის განსათავისუფლებლად. სწორედ ამიტომ, რომ გამარჯვებულ დავითს სომეხი ხალხი უმღერის:

„იციცხლოს დავითმა, ჩვენმა იმედმა“...

„დავით სასუნელი“ თავისი შინაარსით ჰგავს ჩვენს საყვარელ ზღაპარს „ამირანს“. „დავით სასუნელი“ მოხსენებულია არა მარტო დავითი, ეს შეუდარებელი გმირი, არამედ მასში მოქმედობს მთელი სომეხი მშრომელი ხალხი.

როცა სომხეთის დასაპყრობად არაბები მოვიდნენ, ისინი, თქმულება „დავით სასუნელის“ მიხედვით, დამარცხდნენ. დავითი მათზე გამარჯვების შემდეგ არ ეპ-

ყრობა მათ ცუდად და ასეთი სიტყვებით მიმართავს:

„მე არ მინდა სხვისი ქონება, მე არ ვცდილობ სხვისი ქვეყნის დაპყრობას, დაბრუნდით თქვენს ქვეყანაში და შეუდევით პატროსან შრომას“

დავითი მეტად გაბედული, უშიშარი პიროვნებაა, მაგრამ ამასთან იგი ძალიან კეთილია. როცა თავის სამშობლოს გაწმენდს დამპყრობელებისაგან, მაშინ აღარ იშობს, ამასთან ერთად დავითი ყველა ჩაგრულის მეგობარია.

ეს თქმულება თაობიდან თაობაზე ზეპირად გადადიოდა, ამიტომ მან ბევრი ცვლილება განიცადა, ბევრი რამ მომდევნო ღრვიდანაც დაემატა. ასეთია, მაგალითად, რომანელებთან ბრძოლა და სხვა.

სომეხმა ხალხმა „დავით სასუნელი“, ეს ხალხური შემოქმედების იშვიათი ნიმუში, შექმნა ათასი წლის წინათ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, თავისუფლებისათვის მებრძოლ სომეხ ხალხს ბევრი ვაივაგლახი გადახდა, მაგრამ ეს უძველესი ხალხური ძეგლი მათი გულიდან ვერ ამოშალა ვერათარამა ქარტხილმა და დღეს სომხეთის თავისუფალი მშრომელი ხალხი იხდის „დავით სასუნელის“ არსებობის ათასი წლის თავს. ამ იუბილეს ზემოთ ხვდებიან მთელი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხები და ამ იშვიათ ძეგლს თარგმნიან თავიანთ ენებზე, რათა იგი ყველა მშრომელისათვის ხელმისაწვდომი გახდეს.



# მეცხვრე გოგო

გაზაფხულის დარი არის  
ხალასი და წმინდა,  
მზე ალერსით ილიმება  
ლურჯად გაშლილ ციდან...  
გაილიმებს, ხელსა შლის და  
აბნევს ოქროს წვიმას...  
(ამოდენა მძივის წვიმა  
სად ყოფილა წინათ!)  
ველი ზის და მწვანე ხავერდს  
ფერადებით ქარგავს.  
აგერ ტყეშაც შეიკერა  
მწვანე ფარჩის კაბა,  
სიო ქოჩორს უქულულღებს  
ნაზად, ნება-ნება...  
მთის ბეჭებზე ნისლის ფატა  
იკრიცება, ქრება.  
ამ დღეებმა ჩაფიქრება  
არ იციან თითქოს...  
მაგრამ გოგი რა ხანია  
დიდ საქმეზე ფიქრობს:  
რარიგ უნდა, რარიგ გოგის  
გახდეს დიდი გმირი...  
რარიგ უნდა, ჩაიღინოს  
საქმე გასაკვირი.  
ოცნებაა ტკბილი, ტკბილი,  
(ბიჭი არც კი ამხელს)  
რარიგ უნდა, ატარებდეს  
მეომარის სახელს.  
ქვეყნის საზღვარს გუშავებდეს, -  
თან დაჰყავდეს ჯარი,  
მაშინ, ალბათ, ცუდად მოსვლას  
ვერ გაბედავს ვერვინ.  
ისეთ რისხვას დაატეხავს  
იმ სასიზღარ მტერსა,  
რომ ქვეყანა გაიგონებს  
მის წუხილს და კენსას.  
დაიჩოქებს: „მაპატიე!  
შემდეგ აღარ ვიზამ!  
ფვიცავ, თვალსაც არ გავავლებ  
შენს საყვარელ მიწას...“

გოგი ეტყვის: „ვერაგობა  
ისე ჩაგივლიდა?  
შენი ლანდი არსად ენახო  
დღევანდელი დღიდან!  
ჩემისთანა საბჭოეთში  
განა ცოტა არი?  
დაიხსომე: მტრულად მოსვლა  
არ შეგვრჩება არვის...“  
ასე იცავს ფიქრიტ გოგი  
თავის მშობელ მხარეს...  
რომ შეეძლოს... რომ შეეძლოს  
თავსაც ანაცვალებს.  
პატარა ბიჭი, მაგრამ  
ყველაფერი იცის,  
იცის ფასი გმირობის და  
სიყვარული მიწის.  
ნელი სიო ხის სამოსელს  
ნაზად აშრიალღებს...  
გამოერკვა ოცნებიდან,  
წამოვარდა მალე  
და მეგობრებს გადასძახა:  
„ლეო, ცაცა, ნანა!  
„მალულობა“, „ბურთაობა“  
არ მოგებზრდით განა?  
შევისწავლოთ მეომრების  
საპატიო საქმე:  
საზღვარს როგორ მოვეუბროთ,  
ან მტერს როგორ დავხვედეთ.  
მოიტანეთ იარაღი,  
დროშები და აეტო,  
სოფლის ბოლოს, ქალისაკენ  
უნდა გავემართოთ.  
შემდეგ დიდხანს გაისმოდა  
მოთათბირე ხმები:  
„შენ დურბინი წამოიღე!  
შენ გათალე ხმლები!  
შენ ბებიას ააცოცებ  
წინდის საქსოვ გორგალს!  
შენ იოდი, ბანტი, ბამბა,  
საკაცური მოგაქვს,





ცაცა არის მოწყალე და,  
 გოგი-რაზმის თავი,  
 თან ჯერიკოც წაფიყვანოთ  
 გაწვრთნილი და ავი"...  
 სოფლის ბოლოს ქალა არის  
 ფართოდ გადაშლილი,  
 იმას იქით ბუჩქნარია  
 გაბარდული, ხშირი,  
 მარცხნივ უძევს ქოჩორა ტყე.  
 (არც თუ ისე დიდი)  
 ტყეზე მოკლე ბილიკი ძევს —  
 სოფლისაკენ მიდის.  
 მეომრები მოპყენენ ქალას  
 ფართო დიდი გზითა,  
 მათი აბჯარ-იარაღი  
 აეტომ ძლიეს-ლა ზიდა.  
 მოაღწიეს, შეისვენეს  
 და საზღვარი დადეს.  
 ყველა ისე მიიშალა —  
 არსაიდან ჩანდნენ.  
 „ახლა მტერი რას დაგვაკლებს  
 ან სად გაგვექცევა?“ —  
 — ფიქრობენ და მესახლვრენი  
 გადაიქცნენ ცქერად.  
 ჯერ სიხუმე დაარღვია  
 თეთრ ბატების გროვამ,  
 გოგი ბრძანებს: „მაშინ დევცხოთ,  
 როცა ახლოს მოვა“...  
 მოახლოვდა მამა-ბატი  
 ყელი მოეღერა  
 მაგრამ, აჰა! წამოიქრა  
 საფარიდან ჯერა...  
 ეცა... თეთრი, ნაზი ბუმბული  
 ქარმა გაიტანა...  
 „მტერი“ ხარით შორდებოდა  
 ამ საშიშარ ბანაკს.  
 კვლავ ჩასაფრდნენ, გადის ხანი...  
 ცოტა უფრო გვიან  
 მესახლვრეთა მყუდროება

ბეკომ დაარღვია.  
 მობაკუნობს გაბედულად,  
 სოფლისაკენ მიჭრის...  
 ვინ არ იცნობს წვერცანცარას,  
 ჯიუტია, ჯიქი.  
 მოახლოვდა, ძაფს მისწვდა და  
 რქებით შეებრძოლა...  
 ვერა და ვერ გადმოლახა  
 ძაფს აქეთა ზონა.  
 თუმცა ნანაც აგორავდა,  
 ატყდა, გაჯიუტდა,  
 მაგრამ ჯერის ვერ გაუძლო  
 და მოკოცა უკან  
 „ვაშა, ვაშა!“ — აფუგუნდა,  
 ახმაურდა ჯარი...  
 დროშასა შლის მეთაური  
 კუნძის ცხენზე მჯდარი.  
 ცაცა მარად დატრიალებს  
 (დაჭრილს უნდა მყელა!)  
 ნანას თავი შეუხვია  
 სიფრთხილით და ხელად.  
 შემდეგ ისევ სიხუმე და  
 ისევ მიიშალნენ.  
 მზე კილევაც გაღიწვერა,  
 დაბინდდება მალე.  
 დაბინდდება... შემდეგ ღამე  
 მთიდან დაგორდება...  
 ამ მეომრებს სახლში წასვლა  
 აღარ აგონდებათ?  
 იქ კი ახლა ახმაურდა  
 ეზო, სახლი, კარი;  
 „სად წავიდნენ? რამ ჩაყლაბა  
 ოთხი მეგობარი?“  
 ეძახიან ბავშვებს, მაგრამ  
 არ პასუხობს არვინ,  
 შეეშინდათ, გამოუდგნენ  
 ბავშვებს საძებნელად...  
 საღამო კი ბინდი-ბუნდით  
 მოდის ნელა-ნელა.



### შ ე მ ო დ გ ო მ ა

შემოდგომა უკვე დადგა და ზაფხული განზე გადა, თუმცა ჩვენთან სტუმრად არის, მასპინძლად კი გამოგვადგა.

გადაშალა თავის გული, საჩუქრებით დატვირთული, ყველა შეხვდა მზიარული, მოგვიტანა ხილეული.

ახლა გითხრათ მისი ძღვენი: ვაშლი, მსხალი და ყურძენი,

თბ. მე-14 სკ. IV კლ. ფრიადოსანი მოწ. კმშო თბაშქაშვილი.

სხვა მრავალი, უღვევლი, აღარ არის ის სათქმელი.

შემოდგომა უკვე დადგა და ზაფხული განზე გადა, თუმცა ჩვენთან სტუმრად არის, მასპინძლად კი გამოგვადგა.

საჩუქრები მოგვიტანა, ამ ჩვენს გულგებს რომ ამღერებს, მეც მადლობა გადავუხადე და ეს ლექსი დაუწერე.

### გსწავლობთ დაუნარელი

დიდო სტაონი, ჩვენო მამავ, საყვარელო ბელადო, შენ იბრძოდი შეუპოვრად მშრომელთ დასახსნელადო.

შენით არის ბედნიერი მშობლიური ქვეყანა,

სიბნელიდან რომ შესძელი მზეზე გამოგეყვანა.

შენი სიბრძნის შუქი გვაბობს, გსწავლობთ დაუნარელი, ვიზრდებით, რომ გავახაროთ ჩვენ, სამშობლო საყვარელი.

მე-18-სკოლის 4-კლ. ფრიადოსანი მოწაფე გურამ ასათიანი.

### ბასუხი მარკა ნომარკი მოთავსებულ ბასკათობა

1. მეგობრები ღვინოს შემდეგნაირად გაიყოფენ: პირველად რვალიტრიანიდან სამლიტრიანს აავსებენ, სამლიტრიანიდან კი ხუთლიტრიანში გადასახმენ, შემდეგ კიდევ აავსებენ სამლიტრიანს და ჩაასხამენ ხუთლიტრიანში. ხუთლიტრიანი მხოლოდ 2 ლიტრი ღვინოს დაისხამს, რადგან მასში სამი ლიტრი უკვე იყო. სამლიტრიანში დარჩება ერთი ლიტრი. ამის შემდეგ სავსე ხუთლიტრიანს ჩაკლიან რვალიტრიანში და ცარიელ ხუთლიტრიანში ჩაასხამენ სამლიტრიანში დარჩენილ ერთ ლიტრს. შემდეგ კიდევ აავსებენ სამლიტრიანს და ჩაასხამენ ხუთლიტრიანში. ამრიგად ხუთლიტრიანში გახდება ოთხი ლიტრი და რვალიტრიანშიც ოთხი ლიტრი დარჩება.

2. პორტრეტი ეკუთვნის შვილს იმ კაცისას, რომელმაც თავის მეგობრებს აჩვენა პორტრეტი.